№ 154 ივლისი 20, ვარასკევი 1890 ივლისი 20, ვარასკევი № 154


**გაზეთის ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

„Иверія“ (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр. Пурцхванидзе. 348

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორ[?] გაპეიკ.

1877—1890 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявлений бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ახალი ამბავი

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ლიონის საანტროპოლოგიო მუზეუმის დირექტორი, ბ-ნი შანტრი, რომელიც საფრანგეთის მთავრობას გამოუგზავნია ჩვენის ქვეყნის ანტროპოლოგიის მხრით გამოსაძიებლადა და გამოსაკვლევად. ბ-ნ შანტრს სომხეთში 500 კაცის თავი გაუზომია და მრავალი სურათი გადუღია. ტფილისიდგან შანტრი კავკავში წავა და მერე იქიდგან პირდაპირ ლიონს გაემგზავრება.

*** აწყური (ახალციხის მაზრა): 8 თიბათვეს შეიპყრეს ახალციხის გზაზე ერევნელი მცხოვრებელი ლევან ბაღდანოვი, რომელსაც, როგორც ამბობენ, ჰბრალდება, ვითომ ზესტაფონში დახჭრა კაცი, წაართვა მასვე ცხენი და გაიქცაო. როცა ეს კაცი უნახავთ ახალციხის გზაზე, მოუთხოვნიათ პასპორტი, მაგრამ საეჭვო კაცს პასპორტი არ აღმოაჩენია, მოუსაზრებიათ მისი ნიშნები, ზესტაფონში დაკარგულის ცხენის აღწერილობა და მაშინვე უტაცნიათ ხელი, აუყრიათ იარაღი და გადაუციათ ახალციხის სამაზრო პოლიციისათვის.

*** ახალციხე: ჩვენს მაზრაში, ცოტა არ იყოს, გოლვები იყო. ერთ ხანად ძალიან გაძვირდა სარწყავი წყალი. ერთს ნაკადულს წყალზე განუწყვეტელი უსიამოვნობა და შფოთი იყო. ქვეყანა სულ იმას ნატრობდა, ნამი გვეღირსებოდესო. მაგრამ ნამი-კი არა, წვიმაც მოვიდა და წვიმას კიდევ ისეთი სეტყვა მოჰყვა, რომ ბევრგან დიდად დააზარალა ბოსტნები და ბაღები. საქონლის ჭირმაც, ახლა თუმცა განელდა, დიდი ზარალი მისცა მცხოვრებლებს. პურები და ქერები ეხლა ხან გაიკრა ახალციხის ახლო-მახლო სოფლებში. მოსავალი წელს ნაკლებია შარშანდელზე.

*** აღისუბანი (შორაპნის მაზრა): აქ ახალ ეკკლესიას აშენებდნენ, მაგრამ აიყვანეს თუ არა კედლები პატარა მაღლა, ოთხივე კედელი გასკდა; ბლაღოჩინის განკარგულებით, შეკრიბა კვლავ სოფელი, ამოირჩია კომიტეტი და მიანდო ეკკლესიის დამთავრება. ეკკლესიასთან სოფელს უნდა სამრევლო სკოლის შენობაც ააგოს. ამ ახლო ხანებში უკვე მიჰყვეს ხელი სკოლის შენობისათვის ქვის ზიდვას და აშენებასაც მალე შეუდგებიან. ერთი აქაური მემამულე თავის მხრით დიდს შემწეობას ჰპირდება სოფელს როგორც ეკკლესიის, ისე სკოლის შენობის აშენებაში და აგრეთვე ეკკლესიის შემკობისათვის.

*** სოფ. საქარა (შორაპნის მაზრა): ჩვენს სოფელში საქონლის ჭირი გაჩნდა და მრავალი საქონელი დაიხოცა. ხალხშიც ხშირია ავადმყოფობა. ერთს კაცს ორად-ორი შვილი ჰყავანდა და ორივე დაეხოცა. კვირაში ერთი და ორი მიცვალებული არ იყოს, არ იქნება.

*** სოფ. დილიკაური (იმავე მაზრისა): ივნისში სოფელ დილიკაურის ნიქოროულის წმ. გიორ. ეკლესია გასტეხეს ავაზაკებმა და გაიტანეს ყოველივე ვერცხლის ჭურჭლეულება და რამდენიმე მანათი ფული. ამ საქმისთვის მობრძანდნენ პოლიციის მოხელენი და გამომძიებელი, დააპატიმრეს ადგილობრივი მნათე და ყარაულები. რამდენისამე კვირის შემდეგ, გაეტეხათ ფანჯარა ამავე ეკკლესიისა და ყოველივე ნაპარევი შიგნითვე შეეწყოთ.

*** სოფ. დაბლა-საქარა (იმავე მაზრისა): ამ უკანასკნელს დროს ჩვენსკენ დიდი გვალვა იყო და შეაწუხა დიდად ნათესობა. ბოლოს მოგვხედა ღმერთმა და გვარიანი წვიმა მოვიდა, რომელმაც მთელი ქვეყანა გააგრილა და სიმინდები გააცოცხლა. გლეხები კარგს მოსავალს მაინც ვერ მოელიან. სოფელს გარდა ამ დღეების წვიმებმა სწორედ მონათლა და შავის მტერისაგან განბანა ჩვენი დ. ყვირილა, სადაც ათასობით გაივლის ხოლმე შავის ქვით დატვირთული ურმები და შავად ჰმურავს აქაურობას. ქარი რომ ამოვა სახლები და დუქნები სულ გაეხვევა ხოლმე შავს მტვერში.

*** გურჯაანი (სიღნაღის მაზრა): ამ თთვის შვიდს სოფ. გურჯაანში დავესწარ ქართულს წარმოდგენას, რომელიც გაემართათ იქაურს ახალგაზდა თავადიშვილებს. ითამაშეს ბ-ნ ავ. ცაგარლის პიესა „მათიკო“. მოთავე ამ წარმოდგენისა [illegible] თ. ჩ—შვილი ღირსია თანაგრძნობისა და პატივისცემისა, რადგან საკმაო შრომა მიუღლია დეკორაციის მომზადებისათვის, რისთვისაც თითქმის სამი ოთხი კვირის განუწყვეტელი შრომა დასჭირებია. დეკორაცია ისე კარგად იყო მომზადებული, რომ სიღნაღში და სხვა იმ გვარ პატარა ქალაქებშიაც-კი ვერ მოახერხებდნენ ასე რიგიანად გამართვას. თითონ წარმოდგენაც საზოგადოდ ურიგო არ იყო, თუმცა უმთავრეს როლებს კარგად ვერ მოჰრეოდნენ ახალგაზდა მოთამაშენი; სამაგიეროდ კარგი იყვნენ დანარჩენნი მეორე ხარისხის როლებში, მაგალითად: მშვენიერად აასრულა მათიკოს მოსამსახურის ლიზას როლი კნიაჟნა ვაჩნაძისამ, რომელიც პირველად გამოსულიყო სცენაზე; ეს ყმაწვილი ქალი ისე თამამად და გაბედვით თამაშობდა და ისეთ ნაირი მიხრა-მოხრა და მკაფიო გამოთქმა ჰქონდა, რომ ნიჭიერს, გამოცდილს არტისტ-ქალს მოგაგონებდათ. სუცხოვო იყო აგრეთვე თ. ვ. ვაჩნაძე გლეხის თომას როლში; ამან სწორედ ხელოვნურად შეასრულა თავისი როლი; ძვირად შეხვედრია ჩვენს ქართულს სცენაზე ასეთი მშვენიერი თამაშობა გლეხის როლისა; კარგად შეასრულა თომას ცოლის როლი კნეინა აბაშიძისამ; არაფერი უჭირდათ კნიაჟნა აბაშიძისას მათიკოს დედის როლში და ბ-ნ კოპაძეს მოხუცებულის თავადიშვილის როლში. ანტრაქტებში საზოგადოება ერთობოდა მშვენიერის დაელურის და ლეკურის თამაშობით დაირაზე, რომელსაც საუცხოოდ უკრავდა კნიაჟნა ნ. ანდრონიკაშვილი; რასაკვირველია, არც ჭიანური იყო დავიწყებული. აქვე იყო გამართული პატარა ბუფეტი ხილისა, სასმელებისა და საჭმელებისა; ერთის სიტყვით, ყველაფერი ისე რიგიანად იყო მოწყობილი, რომ იქ დამსწრე საზოგადოებამ, რომელიც საკმაოდ იყო, დიდად ისიამოვნა და სრული კმაყოფილება გამოაცხადა ტაშის-კვრით და ბრავოს ძახილით. ბილეთების გაყიდვით და ბუფეტიდამ, როგორც მითხრეს, დაახლოვებით, თორმეტ თუმნამდის იქნება შემოსავალიო. ეს ფული და კიდევ სხვაც, რომელიც შემდეგის წარმოდგენებიდგან შემოვა, გადაიდება თურმე სასოფლო ბიბლიოთეკის გასამართავად ს. გურჯაანში.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის მოთავენი. ვისურვებთ, რომ ის წმინდა აზრი რომლისათვისაც შრომა გაუწევიათ, უფრო გაფართოვდეს, გაღრმავდეს და განვითარდეს. იმედია მომავალში უფრო კარგად წავა წარმოდგენა, რადგან დეკორაცია უკვე დამზადებული ექნებათ. იმედია, რომ სხვა სოფლებშიაც გამოჩნდებიან მიმბაძველნი ამ კეთილის და სასარგებლო საქმისა.

*** თუ რა მდიდრები ყოფილან ქ. ბაქოს ვაჭრები, შემდეგის ამბიდგანა სჩანს. იქაურმა ვაჭარმა ხ. ე.—მ პოლიციას გამოუცხადა, რომ ერთმა ქალმა, რომელიც „ივერიის“ სასტუმროში ჰყავდა დაპატიჟებული, ას-თუმნიანი ოქროს საათი და ძეწკვი მომპარაო.

*** გაზ. «ახ. მიმ.» სიტყვით, ქალაქი ქუთაისი აპირობს რკინის გზის სადგურიდგან ქალაქის მეორე ბოლომდის, ეგრედ წოდებულს „სლაბოტკა“-მდის, თავის ხარჯით ცხენის რკინის გზა გაიყვანოს.

*** ამ ჟამად უკვე სრულიად გამოირკვა, თუ რა ქონება დაუტოვებია ცნობილს სომეხს ფილანტროპს აწ უკვე გარდაცვალებულს მ. სანასარიანს. გაზ. „ტფ. ფ.“-ის სიტყვით, სანასარიანის ანდერძის წერილი გაუხსნიათ და აღმოჩენილა, რომ განსვენებულს მთელი თავისი მოძრავი ქონება და 100,000 მან. უანდერძებია თავის დის-წულის ტიგრანიანისათვის და 450,000 მანათიც აზრუმში იმის სახელობაზედ დაარსებულ კოლლეგიისთვის, რომელშიაც სახალხო სკოლების და ხელოსნათა მასწავლებლები ემზადებიან, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ამ ფულის სარგებლიდგან სტიპენდიები ეძლეოდეთ სწავლის დასრულებამდე იმ ყმაწვილ-კაცებს, რომელნიც ეხლა განსვენებულის ხარჯზედ სწავლობენ, და აგრეთვე პენსია არ მოაკლონ გარდაცვალებულის რამდენსამე მახლობელს კაცს იმათს სიკვდილამდე.

*** ივლისის 17 პოლიციის მეექვსე ნაწილში ბორჩალოს მაზრის მცხოვრებლის ანასტასია ყარაყარაჟევის სამის წლის ქალმა

## ფელეტონი

### ქართლის მეფე გიორგი XI ავღანისტანში

(დასასრული*)

სულ-მდაბალმა და მხდალმა ჰუსეინ-შაჰმა ეჭვი შეიტანა გიორგის ერთგულებაზე. ამ დროს მეფე გიორგის ყანდაარის მხარეს დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი და სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ შაჰი გიორგის წინააღმდეგ პირდაპირ, ცხადად, ვერა მოჰქმედებდა, თუმცა ამას შემდეგ ჰუსეინი ყოველ ღონის ძიებასა ჰხმარობდა, რომ გიორგი როგორმე დაემცირებინა. აი რა ხერხი იხმარა შაჰმა: მირვეისს ხელმეორედ მიანიჭა ყოველივე წართმეული უფლება და ბატონადვე გაჰგზავნა ქალაქ ყანდაარს. ამ გვარად ერთად შეიყარა ორი დაუცხრომელი და ძლიერი მტერი. ქლესა, მატყუარა მირვეისი გიორგი მეფეს გარეგნობით დაუმეგობრდა და სხვათა შორის ისიც გამოუცხადა, რომ ჩემი გულითადი სურვილია, სიძედ გაგიხადო და ჩემი ქალი მოგათხოვოო. ახალგაზდა მირვეისის ქალიშვილი, ფრიად მშვენიერი და სილამაზით სახელ-გათქმული, გიორგის ძალიან მოსწონდა. ქალიც თანაუგრძნობდა გიორგის, და იგი გატაცებული იყო იმისის მხნეობითა, გმირობითა და სილამაზით. მართლაცდა, გიორგი ახოვანი იყო, ძლიერი და წარმოსადეგი, შვენიერ-ჰაეროვანი, პირ მხიარული, ენა ტკბილი და უებრო მოისარ მოახპარეზე. ასე ყოველის ღირსებით შემკული მეფე ყველას მოსწონდა და გასაკვირველიც არ არის, რომ მირვეისის ქალს გიორგის ნახვის დროს გულში სიყვარულის ისარიც განემსჭვალა... მაგრამ მისი მამა მირვეისი-კი სულ სხვა აზრებით იყო ამ დროს გატაცებული. გავიდა რამდენიმე ხანი, რომლის განმავლობაშიაც მოხერხებული ავღანელთა წინამძღოლი სცდილობდა, რომ ბოლო მოეღო როგორმე ქართლის მეფისათვის. ამ მიზნით მირვეისმა ნადიმი გაუმართა თავის ახალს სასიძოს. დიდი ლხინი და ნადიმი გაჩაღდა. ძალიან გახარებული იყო თავისის ბედნიერებით გიორგი და დიდადაც მხიარულებდა; მაგრამ იმის დაუცხრომელს მტერს მირვეისს არ ეძინა. როდესაც გიორგის ღვინო მოეკიდა და სიმხიარულისაგან არ იცოდა, რა ექნა, მაშინ მირვეისის ბრძანებით უცებ დაეცნენ შეიარაღებულნი მეომარნი და მოკლეს მეფე გიორგი. ამასთანავე სრულიად დაიხოცნენ ის ქართველნიც, რომელნიც მეფეს თან ახლდნენ. ეს სამწუხარო ამბავი მოხდა 1709 წ., 21 აპრილს. ასე გვიამბობს გიორგი XI-ის უკანასკნელ დღის ამბავს კათოლიკეს პატრი კრუზინსკი [14]).

ჩვენი მემატიანე სეხნია ჩხეიძე და „ქართლის ცხოვრება“ ცოტა სხვა ნაირად მოგვითხრობენ მეფის სიკვდილს. ეს ვარიანტიც საინტერესოდ მიმაჩნია და ამიტომ აქვე მოვიხსენიებ: 21 აპრილს 1709 წ. გიორგი გალაშქრებული იყო ყანდაარიდგან შორს მანძილზე; ქართველი ჯარი თავის ძმისწულის ალექსანდრეს წინამძღოლობით მეფემ უკუ მდგარს ავღანელთ მიუსია. თვით გიორგის, რომელიც უკან დარჩა, ჯარი აღარ ახლდა, მცირედის რაზმის გარდა. განთიადისას, როდესაც გიორგის ჯერ კიდევ ეძინა და არავითარს განსაცდელს არ მოელოდა, მოულოდნელად დაეცა მირვეისი თავისის გაშმაგებულის ჯარით. უშიშარი და დიდ-სულოვანი მეფე მაგრად დაუხვდა მტერს, კარვაში სარმოდგენების საქმე ამ სოფელში, რადჩისა გვერდზე ედვა, გაიკრა ხელი და სანამდის ისარი ჰქონდა, არც ერთი არ დააცდინა; რაკი ისარი გამოელია, გაიკრა ხმალს ხელი და ისე თამამად იბრძოდა, როგორც ნამდვილი დევიო, სწერს სეხნია ჩხეიძე. მირვეისმა ვერა დააკლო-რა მეფეს, რადგან ის ქართველნიც, რომელნიც თან ახლდნენ გიორგის, მეტად ვაჟკაცურად იბრძოდნენ მოულოდნელად თავ-დასხმულს მტერს. მაშინ მირვეისმა ვილასაც მოჰკვეთა თავი და დაუყვირა თავის ჯარს: „აჰა, მეფე მოვკალი, იყოს ქონება და საჭურჭლენი თქვენდა, მხოლოდ კაცნი ჩვენდაო.“ ამ დაპირებით დაიმედებული გამხნევებული მირვეისის ჯარი გაცოფებული მოერტყა მეფეს; სწორედ ამ დროს აარღვიეს იმ კოშკის ბანიც, სადაც გიორგი იმყოფებოდა. გავარდა თოფი და მომაკვდინებელი ტყვია მოხვდა მეფე გიორგის. დანარჩენი ქართველნიც, მეფის სიკვდილის გამო, სრულად დაეცნენ სულით და ველარ

*) იხ. „ივერია“ № 153.

[14]) ამ კრუზინსკის წერილები ფრიად საყურადღებო მასალას წარმოადგენს საქართველოს ისტორიისათვის. ავტორი თვით ყოფილა დამსწრე და ისე აგვიწერს მე-XVII საუკ. და დასაწყისს მე-XVIII საუკუნისას.

მარგარიტამ ყელი დაიწვა და ივლისის 18 გარდაიცვალა.

⁂ პოლიციის პირველს ნაწილში მემარნეშვილის სახლში მცხოვრებელმა ალექსანდრე გუგუნაძის ცოლმა გამოაცხადა, რომ ამ თვის 15 ჩხუბი მოგვივიდა მედა ბარბარე ციხისელსაო. ციხისელისა მომვარდა და ყურებიდგან ექვს მან. ღირებული ოქროს საყურე ამგლიჯაო. გამოძიება სწარმოებს.

⁂ ივლისის 17 ავლაბარში პოლიციამ შეიპყრო სხვა-და-სხვა საქმეში ბრალდებული ტფილისის მცხოვრებელი არტემა (იგივე ქლესა) ყასუმოვი, რომელიც ამ რვა თვის წინად გაიქცა პოლიციის მეშვიდე ნაწილის საპყრობილიდგან.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლეჩხუმი. ყოველის შეგნებულის ქართველის გულითადი სანატრელი და საზრუნველი ის არის, რომ სწავლა და განათლება გავრცელდეს და მოეფინოს ჩვენს ერს. თუ არ სწავლა, თუ არ ცოდნით აღჭურვა და შეიარაღება თითოეულის ქართველისა ცალკედ და მთელის ერისა საერთოდ, ძნელია სიკეთე, კეთილდღეობა და წარმატება. მხოლოდ სწავლა-განათლებაა ის დაუძლეველი იარაღი, რომლის შემწეობითაც კერძო ადამიანიცა და მთელი ერიც გამარჯვებული გამოდის არსებობისათვის ბრძოლიდგან. სწავლა-მეცნიერებით შეუიარაღებელის ერის მდგომარეობა-კი, მეტადრე ჩვენს დროში, იმ მძიმე ავადმყოფის მდგომარეობას ემსგავსება, რომლის სიცოცხლეც მიწურულ მიხრწნილია და რომელსაც სულთამხუთავი ადგას თავს, ან დღეს გამოასალმებს წუთი-სოფელს და ან ხვალ. ეს ჭეშმარიტება უკვე ყველას კარგადა აქვს შეგნებულ-შესისხლხორცებული, მაგრამ ამ უძლეველის ღონის მოპოვებისა და შეძინების მეცადინეობის შესახებ-კი ხელს არ ვანძრევთ და არასა ვზრუნავთ. მართალი რომ ვსთქვათ, ეს უმაღლესი და უპირველესი საგანი ჩვენს ხალხს უზრუნველადა აქვს დატოვებული სხვა საგნებთან შედარებით, ამაზედ უფრო ცოტასა ჰფიქრობს და ცოტასაც იმეტებს თავის ჯიბიდგან. აკი ამის გამოისობით ჩვენის ხალხის განათლება და განვითარებაც კუს ნაბიჯით მიღოღავს და მიცოცავს.

სასიამოვნოდ ჩვენდა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუ ლეჩხუმის მაზრაზედ ითქმის ესა, დანარჩენ ჩვენის ქვეყნის კუთხეებს უფრო სიკეთე ეტყობა. ჩვენის ქვეყნის ზოგიერთ ნაწილებიდგან უკვე მოისმის ის სანუგეშო ამბავი, რომ ამა-და-ამ მაზრის თავად-აზნაურობამ კრება მოახდინა და გარდასწყვიტა, სასკოლო ხარჯი თითონ გაიწეროს და გადაიხადოსო; ამა-და-ამ საზოგადოებამ ორ-კლასიანი სასწავლებელი დაიარსა და სასწავლებლის სახარჯო ფულიც თითონვე იკისრაო; ამათა-და-ამათ ამდენ-ამდენი თუმანი შესწირეს სკოლას და სხ. ჩვენს კუთხეულს მაზრაში-კი ამ გვარი სანუგეშო გონებრივი გამოფხიზლება და თვალების მოფშვნეტა დიოგენის ფარნითაც რომ ეძებოთ, ვერსად ვერ შეხვდებით. აქაური საზოგადოება მეტად უზრუნველი და ხელგაუნძრეველია ამ გვარს საქმეში. ამდენმა მაგალითმა, ამდენმა ლაპარაკმა და ღაღადისმა სწავლის საჭიროებისამ აქაურები ვერ შესძრა. ისევ დაუვიწყარის თავადის თათქარიძისებურად მხარ-თეძოზედ წამოწოლილნი არხეინად შეყურებენ თავიანთ სახლის ჭერს და ყურსაც არ აპარტყუნებენ. ამის დამამტკიცებელი მაგალითი მრავალია, მაგრამ ორიოდე რომ დავასახელოთ, ვგონებთ, ისიც საკმაო იყოს ჩვენის აზრის დასასურათებლად!

ჩვენს თავად აზნაურობას, დიდი ხანია, ერთ-კლასიანი სასწავლებელი აქვს ლაილაშში. ამ სასწავლებლის ბედი სწორედ შესაბრალისია, იგი ყოვლის მხრით დაქვეითებულია და სამარის კარამდის არის მიწურული. არ იქნა და არა, ჩვენმა საზოგადოებამ არ გაუწია ღირსეული და შესაფერი დახმარება, შემწეობა, რომ ეს ბედკრული სასწავლებელი ორ-კლასიან სასწავლებლად გადაკეთებულიყო და ამ ნაირად ჩვენის თავად-აზნაურთა ახალგაზდობას ცოტაოდენის სწავლისა და გონებრივის განვითარების ღონის ძიება მისცემოდა. განა ძალიან სამძიმო იქნება, ჩვენმა თავად-აზნაურობამ რომ თითონ იკისროს, რაც ამ შკოლის გადაკეთებისა და მეორე კლასის გამართვის ხარჯი დასჭირდება და ამის წყალობით თავიანთ შვილებს გზა სწავლისა გაუფართოვოს იმ მოზარდს თაობას, რომელიც ეხლა უსაგნოდ და უაზროდ სცხოვრობს და გართობა-ქეიფის მეტი აღარა მიაჩნია-რა ამ ცხოვრების დანიშნულებად? მაგრამ სად არის ამის შეგნება. ამ ძალოცვილებს ამ გვარ სასარგებლო საქმისათვის ერთს მანეთს ვერ გამოამეტებინებს კაცი და ქეიფისათვის-კი ათსა და ოცს მანეთსაც არ დაიშურებენ. ჩვენს სამღვდელოებას მაინც ჩაეგონებინა მათთვის და წაეხალისებინა, შეეგნებინა ეს საქმე მით უმეტეს, რომ თითონ კარგადა აქვს სწავლის მნიშვნელობა დანახული და არაფერს იშურებს, ოღონდ-კი შვილები უსწავლელ-უწვრთნელი არ დასტოვოს. ცოტაოდენი იმედი გაგვიღვიძა იმ განკარგულებამ მთავრობისამ, რომ ყოველს ეკკლესიასთან პირველ-დაწყებითი სამრევლო სკოლა უნდა დაარსდესო, მაგრამ ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარიო". აქამდისაც მოაღწია იმ განკარგულებამ, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მთელს ლეჩხუმში ერთს ამისთანა სასწავლებელსაც თუ შეხვდით, დიდ ღვთის წყალობად უნდა ჩასთვალოთ?.

ქაიხოსრო გელოვანი

## რუსეთი

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი და სახელმწიფო საბჭომაც უკვე დაამტკიცა, რომ დასავლეთ კავკასიის ჭაობები გააშრონ და აღმოსავლეთ კავკასიის ურწყავ ადგილებში წყლის არხები გაიყვანონ და სარწყავად გახადონ. მომავალს მარიამობის თვეში მუშაობას კიდეც შეუდგებიან. ამ საქმისთვის სამინისტრომ ორი ექსპედიცია დაამზადა და უფროსად გენერალი ჟილინსკი დანიშნა. როდესაც მუშაობას დაიწყებენ, მასთანვე ახალი კანონიც გამოიცემა, თუ რა წესით უნდა ისარგებლონ წყლით აღმოსავლეთ კავკასიის ბარ ადგილებში.

— ყველამ იცის, თუ რანაირად გაიდგეს ფეხი ოდესაში ებრაელებმა. თითქმის მთელი ეს ქალაქი იმათ ხელშია ჩავარდნილი და ყველა საქალაქო დაწესებულებაში ებრაელები ჰმეთაურობენ. ეს გარემოება ძლიერ აწუხებს და აღონებს ოდესაში მცხოვრებს რუსებს, მაგრამ ვერაფერი გაუწყიათ. ყოველთვის კანონი და სამართალი ებრაელების მხარეს რჩება. მხოლოდ კბილების კრაჭუნით-ღა იოკებენ გულსა უღონოდ დარჩენილნი ებრაელთა მოძულენი. აი ერთი ამ გვარი შემთხვევა ამ დღეებშიაც ყოფილა: ოდესაში ხმა გაისმა თურმე, რომ ებრაელმა მართლ-მადიდებლების ეკკლესია იყიდაო. ამ ამბავმა საშინლად აალელვა ქრისტეანები და ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ტყუილიც არ გამოდგა ეს ხმა. ერთ ებრაელს საჯაროდ გასყიდვის დროს მართლა დარჩენოდა სახლი, რომელშიაც ეკკლესიაც იყო დატანებული. ვერც გასყიდვის დროს ეთქვათ უარი ამ ებრაელისთვის, რადგანაც ყველაზე მეტი ფასი იმას შეეძლია და კანონით იმას უნდა დარჩენოდა, და ვერც ოლქის სასამართლომ სთქვა რამე დამტკიცების დროს, რადგანაც კანონის არც-ერთ მუხლში ამის წინააღმდეგი არაფერი არა სწერია. დარჩა და დარჩა ებრაელს მართლ-მადიდებლების ეკკლესია. ბევრს ეცნენ აქეთ-იქით ქრისტეანები, მაგრამ აბა რას იზამდნენ.

— რიგის გუბერნიის რომელსაღაც მაზრაში ერთი მქადაგებელი გამოჩენილა, სახელად „ეგორი", რომელიც ხალხს უქადაგებს თურმე, რომ სამის წლის შემდეგ მეორედ მოსვლა იქნებაო. ეს ახირებული მოციქული სოფელ-სოფელ დაიარება თურმე და ერთი ვაი-ვაგლახი შეუყენა რუსის დედაკაცებს. როდესაც ეგორი სახლში შევა და ლოცულობს, დიდ-ძალი დედაკაცობა შემოეხვევა ხოლმე და ტირილი და ქვითქვითი აქვთ. გარდა დედაკაცებისა, მამაკაცებიც არ ერიდებიან ამ ეგორასა და იმათაც ყოველივე იმის სიტყვა მართალი და ღვთისგან მოვლენილი ჰგონიათ. თვით მამასახლისი, სოფლის უფროსი, ეგორას პირველი მომხრე ყოფილა. ამ მამასახლისის სახლში იკრიბებიან სოფლის კაცი და დედაკაცი და ეგორას ხელმძღვანელობით ინანიებენ თურმე თავიანთ ცოდვებს, რომ ღირსეულად და პირნათლად შეეგებნენ მეორედ მოსვლასა.

— ლიუბლინის გუბერნიის დაბა ოპოლიეში ებრაელების რაბინს ერთი სასაცილო განკარგულება მოუხდენია: ჩვენს დაბას გარეთ ნურც ერთი ებრაელი ფეხს ნუ გასდგამსო, იმათ გარდა, ვისაც მკურნალისგან აქვს ნათქვამი მინდვრად სეირნობაო. რაბინის ამ ნაირი სასტიკი და ახირებული ბრძანება იმას გამოუწვევია, რომ ამ ბოლოს დროს ბევრის ებრაელის ყმაწვილი ქალი გაჰყოლია ქრისტიანე ახალგაზდებს, გამოუცვლიათ სარწმუნოება და მისთხოვებიან.

— 28 წარსულს ივნისს რადომის გუბერნიის სოფელს დამბროვაში ერთს ავაზაკს ფრიად შემაძრწუნებელი ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია. ღამით გატეხილის ფანჯრიდგან გადაპარულა ქვრივის შჩიგელსკის სახლში, სცემია იმის 14 წლის ვაჟსა და ლუკმა-ლუკმა აუკაფია. ახლა, შვილის ყვირილზე რომ დედას გამოუღვიძნია, იმას მივარდნია და ორჯელ ზედი-ზედ დაუთხლეშია ცული თავში. ქვრივის ორი ქალიც წამოვარდნილა ლოგინიდგან, დედასთან მისცვივნულან საშველად, მაგრამ ბოროტ-მომქმედს ამათზედაც მარდად მოუხმარებია თავისი საჯალათო ცული. ერთის ქალის გარდა, მთელი ეს ოჯახი, სამი სული, სიცოცხლისათვის გამოუსალმებია ამ მხეცს კაცს. იმ ერთის ქალისა-კი მკურნალებს იმედი აქვთ, მორჩებაო, თუმც ისიც მძიმედა ყოფილა დაჭრილი.

— ამ დღეებში იაროსლავის რკინის გზის სადგურ ტარასოვკაში ერთი საშინელი უბედურება დატრიალებულა. როცა მატარებელი ამ სადგურს მიახლოვებია და ერთი ვერსი-ღა დარჩენია გასავლელი, ვაგონში მჯდომი ქალი გვარად გრიუნტალი ვაგონის დერეფანში გამოსულა სიოზე. ამ დროს მატარებლიდგან ნაპერწკალი დასცემია კაბაზე და მოჰკიდებია. გრიუნტალს დაუწყია კაბის ბერტყვა, მაგრამ ცეცხლი უფრო-და-უფრო გაჩაღებულა და გაძლიერებულა. როდესაც მატარებელი სადგურზე გაჩერებულა, იქ მყოფ ხალხს დაუნახავს, რომ საბრალო ქალი სულ მთლად ცეცხლის ალში ყოფილა დამალული. მისცვივნიან, გაუქრიათ და ქალი რის ვაივაგლახით ძლივს მოუსულიერებიათ. მთელი ტან-საცმელი სულ დასწოდა, გარდა კორსეტისა: მკურნალებს გრიუნტალის მორჩენა საეჭვოდ მიაჩნიათ.

---

გაუწიეს მტერს წინააღმდეგობა. ესენიც ერთიანად ამოწყვიტა მირვეისის ჯარმა. მირვეისმა აჰყარა მოკლულ მეფეს ხატნი და ჯვარნი, აილო აგრეთვე ფსალმუნიც, რომელსაც გიორგი ხან-და-ხან კითხულობდა (თუმცა მაჰმადიანად ითვლებოდა), და გაუგზავნა ყეენს, ამ სიტყვებით: „აი, ესრეთ გაცდუნებდა მეფე გიორგიო".

როდესაც ეს სამწუხარო ამბავი მოვიდა საქართველოში, მაშინვე ქართლის გამგებელმა ვახტანგ VI იდვა თავს იმის გამოცხადება. თითონ სამეჯლიშო სახლში იყო და იქავე მოვიდნენ დარბაისელნიც, სასახლის გარეთ მოედანი მოქალაქეებით გაივსო, შემდეგ მოვიდნენ ეპისკოპოსნი, დაუჩოქეს და ჰკადრეს ვახტანგს მეფის სიკვდილი; შეიქმნა ერთი გლოვა, თავში ცემა; ჭირისუფლად ვახტანგი იყო. დადგეს კარავი ფილაქანსა ზედა, დააფინეს კარვისა თავსა სუზანი და დორი [15]), მიაფარეს დორსა ბაყალბანდი [16]) სიასამური, გაშალეს ნიშანი, დაფინეს ქვეშაგებნი და დასხდნენ აქეთ-იქით დიდრონი კაცნი, დაიტირეს მცხედარი". ქართველთა ჩვეულებისამებრ ორმოცს დღეს იყო ასეთი გლოვა და ტირილი...

ასე დაილუპა გიორგი XI, ეს მართლაც რომ ნამდვილი გმირი მეფე, რომელსაც გამჭრიახობა და შორს მჭვრეტველობა აკლდა. ქართლის მეფემ თავის დროზე არ იხმარა საჭირო ღონე მორვეისის წინააღმდეგ და ამიტომაც ვერ გადურჩა იმ საშინელს ხიფათს, რომელშიაც მტერმა ჩააგდო. გიორგი თავისისავე წინ დაუხედაობისა და აჩქარების მსხვერპლი შეიქმნა.

IV

რაკი დარწმუნდა სპარსეთის შაჰი, რომ მირვეისი მატყუებდა და ჩემი ერთგული არა ყოფილაო, გიორგის მაგივრად გაჰგზავნა ქართლის მეფე ქაიხოსრო, ლევანის შვილი, რჯულით მაჰმადიანი, სახელად ხოსროხანი [17]). ეს ქაიხოსრო, გიორგის სიკვდილს შემდეგ, დაინიშნა ქართლის მმართველად, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ამ თანამდებობით არც-კი გამოჩენილა თავის სამშობლო ქვეყანაში, რადგანაც შაჰმა ავღანისტანში გაჰგზავნა მირვეისის წინააღმდეგ. ამ დროს მირვეისს ავღანელთა შორის დიდი ძალა და გავლენა ჰქონდა, რადგანაც იმისი თანაშემამულენი დიდად ემადლიერებოდნენ გიორგისაგან განთავისუფლებისათვის. გიორგი მეფის მოკვლის შემდეგ მირვეისს განზრახვა ჰქონდა, ავღანისტანი სრულიად განეთავისუფლებინა ყეენის დამოკიდებულებისაგან. ჰუსეინ-შაჰი დაუდევარი და განებივრებული მეფე იყო და ყოველთვის ქალებისა და საჭურისების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. იმან დიდხანს ყური არ ათხოვა ამ აჯანყებას და მხოლოდ მაშინ გამოახილა თვალები სპარსეთის სასახლემ, როდესაც არეულობა უკვე ყველგან გავრცელდა და გამეფდა, მაგრამ ერთობ გვიან-ღა იყო. ჰუსეინმა დიდძალი ჯარი მისცა ქაიხოსროს. ეს მეფე მით უფრო თავ-განწირულად შეება მტერს, რომ თავის ბიძის ჯავერი ამოეყარა, იმისი და ქართველთა სისხლი აელო, რომლებიც მირვეისმა დაახოცვინა.

პირველში ქაიხოსრომ რამდენჯერმე დაამარცხა ავღანელები. ამ გამარჯვების შემდეგ იგი ქვეყნის მბრძანებელი შეიქმნა, წავიდა ყანდაარის დასაპყრობლად და დიდის ჯარით მიადგა ავღანისტანის სატახტო ქალაქს. ქართველებმა ყანდაარის ციხეს ალყა შემოარტყეს. გამარჯვებით გატაცებულმა ქაიხოსრომ უბძანა ავღანელებს, რომ თოფ-იარაღი დაჰყარეთო. შეშინებული ყანდარელნი ამ ბძანების მორჩილებას აპირობდნენ იმ პირობით, „თუ ჩვენ მოგვანიჭებო სიცოცხლესა და თავისუფლებას". სასტიკმა ქაიხოსრომ ამის პირობა არ მისცა და ქართველს ჯარს უბძანა, რომ იერიშით აიღეთ ციხეო. მტრის ჯარი დიდს ვაი-ვაგლახში ჩავარდა, ერთის მხრით ჭირვეულსა და შეუბრალებელ ქაიხოსროსთან ელოდა ბრძოლა, ქაიხოსროსთან, რომელიც იმათ გაჟლეტას იყო მოწადინებული, და, მეორეს მხრით, თავიანთის სიცოცხლისა და თავისუფლების დაცვაც უნდოდა. აი ამ ორ-ცეცხლს შუა ჩავარდნამა ჰყო იძულებული მტერი, რომ მამაცად და ვაჟკაცურად დახვედროდა ქართველებს. უნუგეშო და ბედკრულმა მდგომარეობამ ის სიკეთე დასდო მტერს, რომ ყველამ თავი გამოიდო, ერთად შეერთდა და გულში გადასწყვიტა, რომ, რა-კი სიკვდილი მოგველის, სახელოვანად მაინც დავიხოცნეთ და იაფად ნუ დაუსვამთ ქართველებს ჩვენს სიცოცხლესაო.

ამ აზრით თავ-გადადებულნი ავღანელნი ყოველ ღონის ძიებასა ჰხმარობდნენ, რომ ყანდაარის ციხე ქაიხოსროსათვის არ დაეთმოთ. მირვეისი დრო გამოშვებით დაეცემოდა ხოლმე ქართველს ჯარს და ბრძოლას

---

15) დორი—ზურგის მისაყუდებელი ბალიში.

16) ბაყალბანდი საკაცე ტყავი.

17) ეს ქაიხოსრო დიმ. ბაქრაძის აზრით, კათოლიკის სარწმუნოებაში აღესრულა.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** დეპეშამა და საზღვარგარეთის გაზეთებმაც უკვე აღნიშნეს ის ამბავი, რომ ოსმალეთის სულთანმა ირადე გამოსცა და ნება დართო, რომ ბოლგარიის ეპისკოპოსები დაინიშნონ მაკედონიის ორს ბოლგარელთა მიერ დასახლებულს ოლქში. „Times“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი ამბობს, რომ ასეთს გარდაწყვეტილებას სულთანი ავსტრი-ვენგრიისა, ინგლისისა და იტალიის რჩევით დაადგა. იმათ უთხრეს, რომ ხალხი მეტად აღელვებულია ყველგან, სომხეთშიაც და კრიტსა და მაკედონიაშიაც და ამიტომ მცირეოდენი ცვლილება მაინც უნდა შემოვიღოთ ამ უკანასკნელს ქვეყანაშიო. რაც შეეხება დანარჩენ სახელმწიფოთა აზრს ამ საგნის შესახებ, მხოლოდ საბერძნეთია წინაამდეგი სულთანის ამ განკარგულებისა. ამ სახელმწიფომ უკვე ცირკულიარი გაუგზავნა დიდთა სახელმწიფოთა და ამბობს, რომ ბოლგარელ ეპისკოპოსთა დანიშვნით სრულიად დარღვეული იქნება სტამბოლის მსოფლიო საპატრიარქოს უფლებაო. ვინაიდგან ყველა დიდმა სახელმწიფომ სტამბოლელი პატრიარქი აღიარა ოსმალეთის იმპერიაში მართლმადიდებელ ეკკლესიის ერთად-ერთ მეთაურად, ამიტომ დამოუკიდებელ ბოლგარიის საეპისკოპოსოთა დაარსება ოსმალეთის სამფლობელოში მართლმადიდებელ ეკკლესიას გაანაწილებსო. საბერძნეთის მთავრობის აზრით, პატრიარქი იძულებული იქნება ეს საეპისკოპოსონი ან მწვალებელად ჩასთვალოს და ან თითონა სთქვას უარი მართლ-მადიდებელ ეკკლესიის მეთაურობაზედაო. ასე იქნება, თუ ისე, დიდი ხანი არ გასტანს და მაკედონიაში ეს სარწმუნოებრივი მოუწყობლობა ომსა და ბრძოლას გამოიწვევსო. ამას ის მოჰყვა, რომ თვით პატრიარქმაც გამოაცხადა, რომ ბოლგარიის ეკკლესია მწვალებელთა ეკკლესიააო, და ეს იყო და ეს. ესევე სთქვა მანვე 1872 წ. ბოლგარიის საეგზარხოსოს დაარსების დროს, მაგრამ ეს საეგზარხოსო იმდენად განსაკუთრებულის ხასიათისაა, რომ ძნელად თუ ოსმალეთზედ ისეთი რამ საგანგებო გავლენა იქონიოს.

საქმე ის არის, რომ აქამდე უმაღლესს და უმდაბლესს სამღვდელოებას ბოლგარიისას საბერძნეთის პატრიარქი ჰნიშნავდა და მის მიერ დანიშნულნი ყოველთვის ბერძენნი იყვნენ. ეს ბერძენნი სამღვდელოების წოდების კაცნი თავმჯდომარეობდენ საერო თვითმართველობის კრებაზედ, ისინი იყვნენ მეთვალყურენი და ხელმძღვანელნი სასწავლებლებისა და ამ გვარად ყოველივე შეძლება და ღონე ჰქონდათ ხელთ, რომ ამ ქვეყანაში საბერძნეთის კულტურა გაევრცელებინათ. აშკარაა, მაშასადამე, რომ ბალკანიის ერნი, რაკი გამოფხიზლდნენ და საპოლიტიკო დამოუკიდებლობის მოპოვებას შეუდგნენ, სულიერად, თავის ეკკლესიების განთავისუფლებასაც ეცდებოდნენ. ამ სურვილს ზოგიერთმა დიდმა სახელმწიფომაც მხარი მისცა და ამის წყალობით 1872 წ. ოსმალეთმა ფირმანით ნება დართო ბოლგარებს, რომ თქვენი საკუთარი ეპისკოპოსები იყოლიეთ ყველგან, სადაც-კი ბოლგარელ მკვიდრთა რიცხვი $^{3}/_{5}$ მაინც შეადგენს საერთო რიცხვისასაო. ამგვარად შესდგა დამოუკიდებელი ბოლგარიის ეკკლესია, ამ ეკკლესიას თავისი განსაკუთრებული ეგზარხოსი ჰყავდა და მღვდლებადაც ბოლგარელნი ინიშნებოდნენ, მხოლოდ ოსმალეთის მთავრობას ბოლგარიის მიერ დასახელებულნი უმაღლესის წოდების სამღვდელო კაცნი უნდა დაემტკიცებინა. სხვათა შორის 1872 წ. ფირმანის ძალით ბოლგარებს უფლება მიეცათ, საკუთარი ეპისკოპოსები ჰყოლოდათ ოხრიდს, უსკუპს, ველესს, სალანიკში, მონასტირსა და კოსსოვაში.

ასეთს მდგომარეობაში იყო ბოლგარიის საერო ეკკლესიის საქმე ბერლინის კონგრესამდე. ამ კონგრესმა, როგორც ვიწყით, განაცალკევა ბალკანიის ნახევარ-კუნძული და სამად გაანაწილა: ბოლგარიის სამთავროდ, აღმოსავლეთ რუმელიადა და მაკედონიად. ამ განცალკევებამ საეკკლესიო საქმეც არივ-დარია. 1872 წ. დაარსებული ბოლგარიის საეგზარხოსო ყველა ბოლგარელს უფროსობდა, იმათაც-კი, რომელნიც ოსმალეთის ქვეშევრდომნი იყვნენ. კონგრესს შემდეგ ბოლგარიის სამთავროს სინოდი სრულიად განცალკევდა და დამოუკიდებელი შეიქმნა. ამასობაში მაკედონიაში მყოფი ბოლგარიის სამღვდელოება-კი ოსმალეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა, თუმცა, ამავე დროს, იგი, 1872 წ. ფირმანის ძალით, ბოლგარიის დამოუკიდებელ სინოდსაც ექვემდებარეობდა. ოსმალეთი ჰპირობდა, ბოლგარიამ თავის სამღვდელოების შემწეობით საპოლიტიკო გავლენა არ იქონიოს მაკედონიაშიო, და, ამიტომ, არავინ დანიშნა ბოლგარიის კათედრაზედ ეპისკოპოსად, ასე რომ თავისი 1872 წ. ფირმანი თითონვე გააუქმა და მაკედონიის ბოლგარელნი სარწმუნოებრივ ისევე სტამბოლის პატრიარქს დაექვემდებარნენ. რაღა თქმა უნდა, ბერძნებმაც ისარგებლეს ამ გარემოებით და თითონ ჩაიგდეს მაკედონიის ეკკლესიაცა და სწავლის საქმეცა. ისინი არავითარს საშუალებას არ ერიდებოდნენ პატრიარქის გავლენის გასაძლიერებლად, ბოლგარელ მღვდელთა მიერ ჯვარ-დაწერილთა და მონათლულთ კანონიერად არ აღიარებდნენ, ბოლგარიელთა ეკკლესიებს, უკანასკნელს წლებში აგებულთ, არ აკურთხებდნენ და სხ. ბოლგარელნი შეძლებისამებრ იბრძოდნენ მათდა წინააღმდეგ, საერო კრება ყოველ წლივ შედარებით დიდ-ძალს ფულსა ჰნიშნავდა ეკკლესიის ასაგებადა და სკოლების გასამართავად მაკედონიაში, მაგრამ უპირატესობა მაინც ბერძნებისაკენ იყო.

როგორც ზემოდაცა ვსთქვით, ამ ჟამად ბოლგარიის მთავრობამ, როგორც იყო, განიხორციელა სურვილი და მაკედონიის ბოლგარიელნიც თითონ დაიქვემდებარა ეკკლესიის მხრივ. მართალია, ამის შესახებ გამოცემულმა სულთანის ირადემ დიდი უსიამოვნება გამოიწვია ბერძნებისა და იმათის პატრიარქის მხრით, მაგრამ ამ უსიამოვნებას მაგდენად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან თითქმის არც ერთს დიდს სახელმწიფოს ამ განკარგულების შესახებ წინააღმდეგი არა უთქვამს-რა. ამ საშუალებით-კი სულთანმა ცოტად თუ ბევრად დააკმაყოფილა და დააშოშინა ბოლგარია. უამისოდ-კი ადვილად შესაძლებელი იყო, რომ ბოლგარიას თითონვე გამოეცხადებინა თავისი სამთავრო დამოუკიდებლად და იქნება ხარკის მიცემაზედაც უარი გაეცხადებინა ოსმალეთისათვის.

## წვრილი ამბები

ჰერცოგმა ფრანსის ტრუნმა მთელი დედამიწა სამოც-და-ათის დღის განმავლობაში შემოიარა.

— ვირტემბერგში ისევ გაჩენილა ინფლუენცია და თოფ-ხანას მუშათა მომეტებულს ნაწილს შეჰყრია.

— ავსტრიაში დეპეშა ვეღარ მიდის, რადგანაც მიწის ძვრას სადეპეშო მავთული გაუფუჭებია.

— ოცი წლის ქალიშვილი, ლამაზი და მშვენიერი, ოპორტოში ორ ხარს შებრძოლებია და ორივე მოუკლავს. ამ ბრძოლას დიდ-ძალი ხალხი დასწრებია და ახალგაზრდა ქალი დიდის ტაშის კვრითა და ქებით დაუჯილდოვებიათ.

— ნიუ-იორკში შემდგარა ერთი საზოგადოება, რომელსაც განზრახვა აქვს ქალაქის ყოველ სახლში მილებით რძე ისე გაიყვანოს, როგორც წყალი გაჰყავთ.

— ჟურნალ „Bienptlegei“-ი ამბობს, რომ ფუტკარმა თუ გიკბინათ, ის ადგილი, სადაც ნესტარი ჩაგირჩინათ, ხახვის ან ნიახურის წვენით უნდა დაისველოთ და ტკივილიც მალე გაგივლით და სიმსივნეც ჩქარა დაგიცხრებათო.

— ალფონს დოდეს შვილი, ლეონ დოდე, ვიქტორ ჰიუგოს შვილის ქალიშვილს ირთავს თურმე.

— ანდალუზიაში ამას წინად დაბადებულა ერთი ბავშვი, რომელსაც ზურგთან მეორე ბავშვი აბია თურმე. ამ მეორე ბავშვს ფეხები არა აქვს, ასე, რომ ორივე ბავშვს მხოლოდ ორი ფეხი აბია.

— დაკოტაში (ამერიკაშია) იმდენი ვირთაგვა სცოდნია, რომ ერთს ფერმერს, რაც დაუთესია, სულ ერთიანად იმათ შეუჭამიათ, გაუღარიბებიათ და გაუსწორულებიათ საბრალო კაცი, ისე რომ იმ ადგილიდგან სხვაგან გადასახლებასა ყოფილა იძულებული. წასვლისას ფერმერს თავში უცბად ერთმა ახირებულმა აზრმა გაუელვა თურმე, წავიდა, დიდძალი კატა იყიდა სულ იაფ ფასად და დაკოტაში მიიყვანა გასაყიდად. იქაური ფერმერები ერთმანეთს ეცილებოდნენ, არა, მე უნდა ვიყიდო კატაო და არა, მეო, და ამ გვარად სულ მცირე ხანში კატები ერთიანად დაიტაცეს და ფერმერმა დიდ-ძალი ფული მოიგო. შემდეგ ამისა ფერმერმა კატების ვაჭრობას მიჰყო თურმე ხელი და ამ ხელობით კარგა სიმდიდრეც შეიძინა.

— ბერლინში ამას წინად ერთი საშინელი უბედურება დატრიალებულა. ვიღაც ცოლ-ქმარს ერთი ობოლი თავის ოჯახში მიუღიათ, მაგრამ იმის მაგიერ, რომ დედ-მამობა გაეწიათ, საბრალო 5—6 წლის ბავშვი ჯოჯოხეთში ჰყავდათ თურმე ჩაგდებული, ყოველთვის უწყრებოდნენ, ურისხდებოდნენ და სასტიკადა სცემდნენ. როდესაც ბავშვი თავის ამხანაგებთან ატარებდა დროს, მაშინაც-კი არა ესალისებოდა-რა, მუდამ დაღონებული, დადარდიანებული იყო და გულ-მოკლულად და გულ-დაწყვეტით უსჩიოდა ტოლებს თავის მდგომარეობას. ერთს შაბათს დღეს ქალმა ბავშვი რიღასათვისაც ძალიან დასტუქსა თურმე, სამზარეულოში დაამწყვდია, კარები გამოუკეტა და დაემუქრა, რომ, ეს კიდევ რა, აი ჩემი ქმარი რომ მოვა, სეირს ის გაუჩენსო. იყო ბავშვი მარტოდ-მარტო კარ-ჩაკეტილში, იჯდა და მოსთქვამდა თავის მწუხარებას, თავის უბედურს გაჩენას, თავის ბედის სამდურავს, მაგრამ ვინ იყო ყურის მგდებელი. საღამოს ჟამს მეზობლებმა თვალი მოჰკრეს, რომ ბავშვი მეორე სართულის ფანჯარაზე გადმომჯდარიყო და გადავარდნას აპირობდა, უნდოდათ მიშველებოდნენ, მაგრამ გვიანღა იყო: ბავშვი ძირს ჩამოვარდა და უსულოდ დაეცა მიწაზე. ამ ამბის გამო ბერლინის საზოგადოებაში დიდი ლაპარაკი და ჩოჩქოლია ახლა ატეხილი.

— ახირებულისა და უცნაურის ზნე-ხასიათის ხალხი დედამიწის პირზე ბევრია, მაგრამ ყველაზე უფრო ახირებულები და უცნაურები კიდევ აფრიკელები ყოფილან. ამას წინად აბაშეთიდგან და იმის ახლო-მახლო ქვეყნებიდგან საფრანგეთის ერთი მეცნიერი მოგზაური დაბრუნდა და აი რას იწერება: აბაშეთს ახლო, ერთს ქვეყანაში, ხელმწიფე ვალდებულია თავისი ყველა ქვეშევრდომი არჩინოს. ხელმწიფე იმის ხელმწიფეა, რომ ლუკმა-პური არ მომაკლოსო, ამბობს თურმე იქაური მკვიდრი, თორემ რად მინდაო! მართლაც-და, თუ ხელმწიფემ ამ მოვალეობას უღალატა, ბევრს არ ალაპარაკებენ, ტახტიდგან გადააყენებენ და სხვას დასვამენ. ეს ჩვეულება იმდენად გასაკვირველი და გასაოცებელი არ არის, რადგან ამერიკის ძველს განათლებულ ქვეყანას, პერუშიაც, სახელმწიფო ანაწილებდა მცხოვრებთა შორის საერთო შემოსავალს. უფრო უცნაური ზნე-ჩვეულება აფრიკის მეორე ხალხს ჰქონია. ამათში თუ ქმარმა ვისმე დაუმტკიცა, ჩემს ცოლს ჰყვარობსო, სასამართლო ბრალდებულს ჯარიმას ახდევინებს თურ-

---

უტეხდა. ამ ხერხით მან ძალიან მოაქანცა ჩვენნი მეომარნი. მცირეოდენის ხნით შეჩერდა თოფთა გრიალი, ხმალთ პრიალი, მაგრამ უცებვე ასტყდა საშინელი ომი. გაიღო ციხის ალაყაფის კარები და მირვეისის ჯარი ერთიანად და გულადად დაეცა მეხივით ქაიხოსროს, რომელიც მტრისაგან ასეთს გამბედაობას არ მოელოდა. ისეთი ფიცხელი ომი შეიქნა, რომ მემატიანეს სიტყვით, მნახველთათვისაც-კი საზარო იყო. ქართველები მხნედ დაუხვდნენ მირვეისის მხედრობას, ქვეითნი ავღანელნი, წინამძღოლის ბძანებით, კლდოვანს ადგილს შემაგრდნენ და აქიდგან ისროდნენ თოფებს. ამ დროს მოვიდა „ვინმე ყიზილბაში“, უეჭველია, მირვეისისგან შესყიდული და უთხრა სპარსელებს; „ბძანება არს სპასალარისა (ე. ი. ქაიხოსროსი), აცადეთ ბრძოლა და უკუ მოიქეცით“. ამის მსმენელმა სპარსელებმა მაშინვე დასტოვეს ომის ველი. ქართველები შეტოკდნენ. შეშინებულნი და თავს-ზარ დაცემული ჯარი სარდლებმა ველარ შეიმაგრეს. აგერ ის დროც დადგა, როცა მეფის ჯარი სრულიად გაიფანტა. ქაიხოსროს გამოექცა ქართველი რაზმი, დარჩნენ მხოლოდ „ზოგნი ვინმე ქართველნი“. ავღანელნი დიდის გაბედულობით დაეცნენ ობლად დატოვებულს ქართლის მეფეს. სწორედ ამ წამს ქაიხოსრომ უკანასკნელი ღონისძიება იხმარა. თავისის სახელოვან და მამაც ცხენოსან მხედრობით იგი მირვეისის ჯარის შიგ შუაგულში შევარდა. თუმცა მეფეს იასე ცალქალამიძემ მოახსენა: „ხელმწიფეო ჯარი გაგვეცალა და აღარც თქვენი ძმა სჩანს, ნუ მოიკლავ თავსაო“, მაგრამ დიდსულოვანმა მეფემ მაინც თავისი არ დაიშალა და უპასუხა იასეს: „ჩემის სიცოცხლისათვის არა მოვაყივნო თავი, არც გვარი ჩემი“[18]. სთქვა რა ეს უკანასკნელი სიტყვა, ძლიერად მოჰქუსლა ცხენი და შეერია ავღანელთა ჯარში, როგორც „ქორი კაკაბსა გუნდისასა“. ჩამოაგდო კიდეც შუბით ორი კაცი, მაგრამ ამ დროს დახვდა ნათხარი რუ და ცხენი წაექცა. ამავე დროს ბრძოლით გატაცებულს მეფეს დაუმიზნეს ექვსი ისარი. გაიგეს თუ არა მეფის ცხენის წაქცევა, წამოეხვივნენ გაშმაგებულნი ავღანელნი და ნაკუწ-ნაკუწ ასჩეხეს ხმლით 1711 წ. 26 ოქტომბერს. მეფის ერთგული იასე ცალქალამიძეც იქვე მოჰკლეს. დანარჩენმა ქართველებმა ამ საშინელ განსაცდელისაგან სრულიად გონება დაჰკარგეს. მხედარნი აქეთ-იქით გაიქცგამოიქცნენ. ამით ისარგებლა მტერმა და ბევრი გაჟლიტა, დაეწია გაქცეულს სპარსელებს და თითქმის სულ ამოსწყვიტა. იაფად არ დაუჯდა სპარსეთის შაჰს ეს ბრძოლა. ამ ამბით თავ-ზარ დაცემული თანა მედროვენი ამბობენ, რომ „25,000 კაცში უკან 25 კაცი ძლივს-ღა დაბრუნდაო“[19].

V

ასე უბედურად გამოესალმნენ თავისს სიცოცხლეს ქართლის გმირი მეფეები: გიორგი XI და იმის ძმის წული ქაიხოსრო. ეს ქაიხოსრო დიდად სახელოვანი მეომარი იყო და სიმამაცეში ყოველთვის თავის სახელ-განთქმულს ბიძას გიორგი XI, ანუ შაჰ-ნაოზ II-სა, ჰბაძავდა, იგი მიაჩნდა მეფის იდეალად. ამიტომაც ქაიხოსროს ბრძოლის საქმეში იგივე ნაკლი ეტყობა, რაც გიორგის ჰქონდა. აი რას ამბობს, სხვათა შორის, მე-XVII-ს. საფრანგეთის მწერალი პეისონელი[20] შაჰ-ნაოზ მეორის შესახებ: „ეს მეფე ჰკვიანი, თავ-მოყვარე და მამაცი კაცი იყო. მაგრამ ამ მამაცობის შესაფერი პოლიტიკა აკლდა. იგი ბოროტად იყენებდა თავის უფლებას და თავის აზრის მისაღწევად მარტო ოდენ ძალასა ჰხმარობდა, ეტყობოდა, რომ არ იცოდა და დაივიწყებული ჰქონდა ის ანდაზა, რომ „ხერხი სჯობია ღონესაო“. რადგანაც ხერხიანობა აკლდა, ამიტომაც ადვილად ჩავარდა ხიფათში. ამ უბედურების დროს სიმამაცემ ველარა უშველა-რა და, კარგი პოლიტიკოსი-კი რომ ყოფილიყო, თავს ადვილად დააღწევდა. შეცდომამ ბევრი ავნო, ხოლო სიმამაცემ იმდენად ვერ არგო. იმან ნათლად დაამტკიცა, რა უსარგებლოა ხშირად სიმამაცეც-კი, როდესაც გამჭრიახობა არ უძღვის წინ და ამას გარდა გიორგის მტრის მირვეისის ამბავიც აშკარად გვაჩვენებს, თუ რა შესძლებია ერთად შეკავშირებულს ხერხსა და ღონესაო“.

ალ. გარსევანაშვილი

ქ. ქუთაისი 24 აპრილი.

18) სეხნია ჩხეიძე—საქართველოს ცხოვრ. 326 ფ.

19) მალკოლმი სპარსეთის ისტორია, II ტომი.

20) ეს მწერალი, რომლის ცნობებითაც ჩვენა ვსარგებლობთ, ვახტანგ VI დროს ყოფილა საქართველოში. ზოგიერთი ადგილი იმის თხზულებისა, რომელიც საქართველოს ისტორიას შეეხება, ქართულად არის ნათარგმნი ს. დ—ძის მიერ. თვით თხზულებას შემდეგი სათაური აქვს: Essai sur les troubles actuels de Perse et de Géorgie და დაბეჭდილია პარიჟში 1754 წ.

მე, მაგრამ ამასთანავე, რა-კი ქულს გადიხდის, ნება დაერთობა, თავის გულის საწადელი აასრულოს კიდეც და რამდენისამე დღით სხვისი ცოლი და თავის საყვარელი თავის სახლში იყოლიოს. ამაზედ უფრო გასაოცარია შემდეგი ამბავი: აფრიკისავე ერთს სხვა ქვეყანაში მცნება „არა იცრუო“-ო, არამც თუ არ უწყიან თურმე, რა არს, არამედ, პირიქით, ამის წინააღმდეგი მცნება მიაჩნიათ წესად და კანონად, ე. ი. „იცრუე და მოატყუეო“. იქაურის მკვიდრის აზრით, ვინც უკეთესს ტყუილს მოახერხებს, ვინც უფრო ოსტატურად გააცრუებს და მოაღორებს ვისმე, „გაცაც ის არის და ქუდიც იმას ჰხურებია“.

— დაგომეის მძვინვარე მეფეს, რომლის ამბავიც ჩვენს გაზეთში არა ერთხელ ყოფილა, მოუსურვებია თურმე, ევროპიდგან მემუსიკეები მიიწვიოს, რათა, როდესაც თავის ამაზონელ, ოთხასხუთას ქალთან ერთად დროს გატარებასა და შექცევაშია, მუსიკამ სმენა დაუტკბოს. მკითხველს უკვე მოეხსენება, თუ რა გვარი დროს გატარება უყვარს დაგომელთა მეფეს. ეს დროს გატარება უბრალო თავის გართობა, მხიარულებაკი არ არის, არამედ საშინელი მძვინვარება, რომლის მარტო ხსენებაზედაც-კი შიშის ჟრუანტელი დაუვლის ადამიანს ტანში. ტყვეებსა ჰფვათრავენ და ნაწილ-ნაწილად აკუწვენ ხოლმე და სანამ მოჰკლავდნენ და სრულიად ბოლოს მოუღებდნენ, ათასნაირს ხერხსა და ღონეს ჰხმარობენ, რომ, რაც შეიძლება, უფრო გაუხანგრძლივონ და გაუძლიერონ მსხვერპლს ტანჯვა და ამიტომ ხან ხეზე ჩამოჰკიდებენ ფეხებითა და ქოჩორს აგლეჯენ, ხან ორმოში ჩააგდებენ და სულს უხუთავენ, ხან საპყრობილეში ამეოფებენ და ზევიდგან თავს დასჩხავიან, ასე და ასე მოგექცევით, ამა-და-ამ გვებასა და სიმწარეს გამოგატარებინებთო, ამა-და-ამ წუთში იქნება შენი აღსასრულიო და სხ. როდესაც ტყვეები შემოელევათ ხოლმე, ამაზონელები და სხვა მონები საქონელს დაერევიან, ყმ ხორცსა ჰგლეჯენ, სთანთქლავენ და ამ დროს სცეკვავენ და ჰროკავენ. აი ამ გვარ დროს-გატარების დროს უნდა დაისწროს ხოლმე დაგომელთა მეფემ ევროპელი მემუსიკეები, თუმცა, არა გვგონია, ვინმე თავი გაიწიროს და ამისთანა მასპინძელს ეწვიოს.

— თავ. ბისმარკის ოფფიციოზურ გაზეთად ყოფილს „Norddeutsche Allgemeine Zeitung“-ს პირველ ივლისს შვიდი ათასი ხელის-მომწერელი მოჰკლებია, რა-კი თავ. ბისმარკმა ცუდად მოიხსენია.

# დეპეშა

19 ივლისი

პეტერბურგი. აღკრძალულია გაზ. „Нимута“ ს ნომრობით გაყიდვა.

სტამბოლი. რუსეთის ელჩი ბ-ნი ნელიდოვი გამოეთხოვა რა ხონთქარს, რუსეთის სამხედრო გემით „ერიკლიკ“ ოჯახიანა გაემგზავრა ოდესას. ოდესიდგან პეტერბურგს წავა.

ბუენოს-აირესი. მეამბოხენი სრულიად დამშვიდდენ, რადგანაც საჭირო საშუალება აღარა აქვთ, რომ ომი განაგრძონ. გამოცხადებულია, რომ პოლიტიკური დანაშაული ყველას ეპატიოსო.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ივლისი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 6 73 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | $135\frac{1}{2}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | 1 11 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | $231\frac{1}{4}$ |
| —მეორისა . . . . . | — | — „ | $219\frac{1}{4}$ |
| —მესამისა . . . . . | — „ | — „ | 215 |
| გირავნობის ფურცელნი ტ. ილისის ბანკისა . | — „ | — „ | $100\frac{1}{4}$ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | 100 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | 90 „ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 16 ივლისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | $4\frac{1}{2}$ | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3 | |
| „ 2 „ | $2\frac{1}{2}$ | |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | 5 | „ |
| „ „ 2 „ | $3\frac{1}{2}$ | |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა. . . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი. . . . . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . . . | „ | „ |
| „ 2 „ „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

# განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება
„ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში“
(ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი)

**შვილის აღზრდა**

პედაგოგიური წერილები
შედგენილი
თეოფილე ხუსკივაძის მიერ.
ფასი 20 კაპ. (3—2)

ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში იარმუკაზე, რუსის საყდრის ზემოთ, მაკაროვის სახლებში, ისყიდება

**დავრიშიანი**

ფასი ორი აბაზი (3—2)

**ნიგოითის სადგურთან**

მიწყვია დიდ-ძალი შეშა გასასყიდი კოპიტისა, რცხილასი და წიფლისა, დაჭრილი სიგრძით 12 ვერშოკზე. მსურველს შეუძლიან გინდ ნიგოითის სადგურზე და გინდ, სადაც თვით დაიბარებს, მიიღოს ჩემგან შეშა იაფ და რიგიან ფასად.

ნიგოითის სადგურთან მოვაჭრე მიხაკ ივანეს მე ორმოცაძე.
ს. ნიგოითი (ოზურგეთის მაზრა).

(5—4)

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზ ამ შეიძინა

ჟურნალ **„ნობათი“**-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,**

შედგენილი
მოსე ჯანაშვილის მიერ.
ფასი წიგნისა 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

**პატარა კახი**

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად
აკაკისა
ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |

**კბილი აღარავის წამოსტკივდება**

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია **1373** წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ექნება.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

მთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.
(208—30)

1890 г. ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ГОДЪ 2-й.

**ЭТНОГРАФИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ,**

издаваемое этнографическимъ отдѣломъ императорскаго общества любителей естествознанія, антропологіи и этнографіи, состоящаго при императорскомъ московскомъ университетѣ, подъ редакціей секретаря отдѣла **Н. А. ЯНЧУКА,**

при участіи слѣдующихъ лицъ: проф. *В. Б. Антоновича*, проф. *Д. Н. Анучина*, *В. И. Ашмарина*, проф. *Д. И. Багалѣя*, *Е. В. Барсова*, *П. М. Богаевскаго*, акад. *Ѳ. И. Буслаева*, *М. К. Васильева*, акад. *Александра Н. Веселовскаго*, проф. *Алексѣя Н. Веселовскаго*, *Н. Л. Гондатти*, *А. Н. Грена*, *С. Я. Дерунова*, проф. М. *С. Дринова*, *И. Е. Забѣлина*, *П. К. Зейдлица*, *А. А. Ивановскаго*, *П. В. Иванова*, А. А. *Кизми*, *В. В. Каллаша*, *В. В. Кандинскаго*. проф. А. *И. Кирпичникова*, М. М. Ковалевскаго, проф. *Ѳ. Е. Корша*, *Г. И. Куликовскаго*, *Ю. Н. Мельгунова*, проф. *В. Ѳ. Миллера*, *П. Н. Милюкова*, *В. М.* Михайловскаго, проф. А. А. *Потебни*, А. *П. Пыпина*, *Е. Р. Романова*, *В. И. Сизова*, проф. *И. Н. Смирнова*, проф. А. *И. Соболевскаго*, проф. *М. И. Соколова*, *Е. Т. Соловьева*, проф. *Н. Ѳ. Сумцова*, проф. *Н. С. Тихонравова*, *В. К. Трутовскаго*, проф. *Г. А. Халетова*, А. *Н. Харузина*, *Н. Н. Харузина*, А. *С. Хаханова*, *П. В. Шейна*, Н. М. *Ядринцева*, *Е. И. Якушкина* и др.

Изданіе посвящено всестороннему изученію быта всѣхъ народностей Россіи, при чемъ ближайшими предметами статей и изслѣдованій будутъ служить слѣдующіе вопросы:

1. Вѣрованія, обычаи, обряды.
2. Народная словестность, языкъ.
3. Народная музыка и др. искусства.
4. Народная медицина.
5. Юридическій бытъ: родовое и сословное устройство, семья, община и т. д.
6. Матеріальный бытъ, преимущественно въ связи съ бытомъ духовнымъ.
7. Историчечская и доисторическая этнографія.
8. Обзоръ жизни и дѣятельности русскихъ этнографовъ.

Кромѣ изслѣдованій по частнымъ вопросамъ, будутъ помѣщаться также статьи общаго методологическаго характера, имѣющія руководящее значеніе.

Обширный **библіографическій отдѣлъ** изданія заключаетъ въ себѣ:

1. Отзывы о новыхъ книгахъ, объ изданіяхъ ученыхъ обществъ, земствъ и статистическихъ комитетовъ, по скольку таковыя касаются вопросовъ этнографіи.

2. Подробный обзоръ по возможности всѣхъ столичныхъ и провинціальныхъ періодическихъ изданій: ежемѣсячныхъ, еженедѣльныхъ, ежедневныхъ и др., съ указаніемъ находящагося въ нихъ этнографическаго матеріала.

3. Обзоръ и указатель иностранныхъ книгъ и изданій, въ особенности касающихся этнографіи Россіи и смежныхъ народностей.

Въ отдѣлѣ **„Смѣси“** сообщаются мелкіе этнографическіе матеріалы.

Наконецъ, въ **„Извѣстіяхъ и Замѣткахъ“** помѣщаются обзоры дѣятельности ученыхъ обществъ и др. учрежденій, свѣдѣнія о музеяхъ, выставкахъ, съѣздахъ, экспедиціяхъ и т. п.

По мѣрѣ возможности бутутъ даваться также **приложенія**: портреты этнографовъ, образцы народной музыки, узоровъ и т. п.

„ЭТНОГРАФИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“ выходитъ **4**-мя книжками въ годъ (въ 12—15 листовъ каждая) приблизительно въ слѣдующіе сроки: 1-я кн.—въ началѣ марта, 2-я—въ началѣ іюня, 3-я—въ концѣ сентября, 4-я—въ концѣ декабря.

Цѣна годовому изданію безъ перес. **4** р. **50** к., съ перес. **5** р., заграницу **6** р. Отдѣльныя книжки, какъ вновь выходящія, такъ и вышедшія, продаются въ складѣ Общества (Москва, Политехническій Музей) и въ книжныхъ магазинахъ по **1** р. **50** к. съ перес. Учащимся, сельскимъ учителямъ и священникамъ дѣлается уступка **40%**.

Подписка принимается въ канцеляріи Общества (М*осква*, *Политехническій* М*узей)* и въ книжныхъ магазинахъ А. С. Суворина, (Москва и Петерб.), Н. П. Карбасникова, (Моск., Петерб. и Варшава), А. А. Карцева (Москва), Н. И. Мамонтова (Москва) и А. Ланга (Москва).

(10—8)


Доз. ценз Тифлисъ, 19-го Іюля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик, д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე